



## ეკონომიკა

**ეკონომიკური ზრდა:** საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2023 წლის თებერვალში საქართველოს რეალური მშპ-ის წლიური ზრდა 5.8%-მდე შენედა, წინა თვის 8.4%-იანი ზრდის შემდეგ. ჯამურად, 2023 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოს ეკონომიკა წლიურად 7.1%-ით გაიზარდა, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია წინა წლის მაღალი ბაზიდან გამომდინარე. თებერვალში ზრდა დაფიქსირდა მშენებლობის, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობის, ვაჭრობის და ტრანსპორტის, ხოლო შემცირდა უძრავი ქონების, დამამუშავებელი მრეწველობის და პროფესიული საქმიანობის დარგებში. ჩვენი საბაზისო პროგნოზით, საქართველოს ეკონომიკა 4.8%-ით გაიზარდება 2023 წელს, ხოლო პოზიტიურ სცენარში ზრდა 6.9%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი, თუ მიგრაციის ეფექტი ძლიერი დარჩება წლის ბოლომდე.

**საბანკო სექტორი:** კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები წლიურად 2.8%-ით გაიზარდა 2023 წლის თებერვალში, წინა თვის 5.5%-იანი ზრდის შემდეგ და საკრედიტო პორტფელმა 44.5 მლრდ ლარი შეადგინა. ამასთან, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხების პორტფელი, წინა თვის მსგავსად, თებერვალში წლიურად 13.3%-ით გაიზარდა. სექტორების მიხედვით, კორპორატიული დაკრედიტების წლიური ზრდის ტემპი 10.7%-მდე დაჩქარდა (+9.9% იანვარში), ხოლო საცალო დაკრედიტების წლიური ზრდა 15.7%-მდე (+16.4% იანვარში) შენედა; აქედან, იპოთეკური სესხების პორტფელი წლიურად 13.0%-ით გაიზარდა, წინა თვის 13.2%-იანი ზრდის შემდეგ. 2023 წლის თებერვალში სესხების დოლარიზაცია 44.4%-მდე შემცირდა (-6.54პპ წ/წ და -0.29პპ თ/თ), ხოლო უმოქმედო სესხები 1.8%-ს გაუტოლდა (-0.14პპ წ/წ და უცვლელი თ/თ).

საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტები წლიურად 29.5%-ით გაიზარდა 43.6 მლრდ ლარამდე 2023 წლის თებერვალში (კურსის ეფექტის გამორიცხვით). ვალუტების მიხედვით, თებერვალში ლარის დეპოზიტების წლიურმა ზრდამ 28.6% (+29.3% იანვარში), ხოლო უცხოური ვალუტის დეპოზიტების წლიურმა ზრდამ 30.0% შეადგინა (+29.1% იანვარში). ამასთან, თებერვალში დეპოზიტების დოლარიზაცია შემცირდა და 54.8% შეადგინა (-4.49პპ წ/წ და -0.12პპ თ/თ).

**მიმდინარე ანგარიში:** სებ-ის მიხედვით, 2022 წელს მიმდინარე ანგარიში დეფიციტი რეკორდულად შემცირდა და მშპ-ის 4.1% შეადგინა (10.4% იყო 2021 წელს). მიმდინარე ანგარიშის გაუმჯობესება ძირითადად მომსახურების (რაც განაპირობა ტურიზმის შემოსავლების სწრაფმა აღდგენამ, რომელმაც 3.5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა 2022 წელს და 7.7%-ით აღემატებოდა 2019 წლის დონეს) და ტრანსფერტების ბალანსის მნიშვნელოვანმა ზრდამ განაპირობა. რაც შეეხება საქონლით ვაჭრობის უარყოფით ბალანსს, ის წლიურად 35.5%-ით გაიზარდა 5.1 მლრდ აშშ დოლარამდე, რადგან საქონლის ექსპორტი 35.8%-ით, ხოლო იმპორტი 35.7%-ით გაიზარდა. ამასთან, 2022 წელს მომსახურების და ტრანსფერტების დადებითი ბალანსი 1.1-ჯერ მეტი იყო, ვიდრე საქონლით სავაჭრო ბალანსი, ხოლო წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (რომელიც 79.6%-ით გაიზარდა 1.7 მლრდ აშშ დოლარამდე და მშპ-ის 6.7% შეადგინა) 1.6-ჯერ აღემატებოდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს. ჩვენი პროგნოზით, 2023 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-ის მიმართ 5.4%-ის დონეზეა მოსალოდნელი.

**მონეტარული პოლიტიკა:** საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2023 წლის 29 მარტს რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად 11.0%-ზე დატოვა. სებ-ი თებერვალში წლიური ინფლაციის შემცირებას 8.1%-მდე ძირითადად საგარეო ფაქტორებით ხსნის და ყურადღებას ამახვილებს შრომის ბაზრიდან მიმდინარე წნეხზე. კონკრეტულად, სებ-ის შეფასებით, 2022 წლის მე-4 კვარტალში სამუშაო ძალის პროდუქტიულობის ზრდა ჩამორჩებოდა საშუალო ხელფასების წლიური ზრდის ტემპს, რაც ადგილობრივი საქონლისა და მომსახურების ფასებზე ზრდის მიმართულებით მოქმედებს. მიუხედავად ამისა, სებ-ის მიმდინარე პროგნოზით, წლიური ინფლაცია მნიშვნელოვან შემცირებას გააგრძელებს და სავარაუდოა რომ ჩამოვდეს 3.0%-ია მიზნობრივ დონეს 2023 წლის მე-2 ნახევარში. თუმცა, მონეტარული პოლიტიკის შერბილება სებ-ის მხრიდან მოსალოდნელია მას შემდეგ, რაც ინფლაციის ადგილობრივი კომპონენტის შემცირების ტენდენცია გამოიკვეთება. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2023 წლის 10 მაისს ჩატარდება.

გთხოვთ იხილოთ მნიშვნელოვანი შეტყობინება ამ დოკუმენტის ბოლო გვერდზე.


### ეკონომიკური ინდიკატორები

	2021	2022
რეალური მშპ-ს ზრდა	10.5%	10.1%
მშპ ერთ სულზე (ppp)	16,937	19,502
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	5,023	6,672
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	13.9%	9.8%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	4.3	4.9
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	10.4%	4.1%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	6.1%	3.1%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	49.7%	39.8%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Ba2	

წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტ & თაგარტი


\*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

### რეალური მშპ-ის წლიური ზრდა



წყარო: საქსტატი

### მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი



წყარო: სებ, საქსტატი



# ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2023 წლის 28 მარტს 5-წლიანი 90.0 მლნ ლარის (34.9 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ობლიგაციები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 1.5-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.0343პ-ით გაიზარდა და 8.669% შეადგინა.


უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2023 წლის 4 აპრილს, სადაც 6-თვიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და 2-წლიანი 40 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2023 წელი

მადიანობა	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება მლნ ლარი
6-თვე	60	180	415
1-წელი	60	180	
2-წელი	129	360	
5-წელი	294	810	6,125
10-წელი	180	840	
<b>სულ</b>	<b>723</b>	<b>2,370</b>	<b>6,540</b>


წყარო: ფინანსთა სამინისტრო  
\* 2023 წლის თებერვლის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სეზ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სეზ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ  
შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას




## ობლიგაციები

**კორპორატიული ვერობლიგაციები:** საქართველოს კაპიტალის ვერობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 98.02 (+0.03% წინა კვირასთან შედარებით), 8.38%-იანი შემოსავლიანობით.

(GRAIL) ივაჭრებოდა 85.72 ფასად (-0.06% წინა კვირასთან შედარებით), 7.35%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ვერობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 89.88 (+0.33% წინა კვირასთან შედარებით), 6.46%-იანი შემოსავლიანობით.

ვერობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

### ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომწვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-26	BB/BB/Ba2	89.88	6.46	269.80
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-28	BB-/BB-/	85.72	7.35	392.88
GEBGG 07/23	USD	350	6.000%	Jul-23	BB-/Ba2	n/a	n/a	n/a
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	n/a	B-/	98.11	12.47	819.83
GEOCAP 03/24	USD	300	6.125%	Mar-24	-/B+/B1	98.02	8.38	357.52
SILKNET 01/27	USD	300	8.375%	Jan-27	B+/-/B1	97.82	9.06	542.10
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-24	BB-/Ba2	98.24	7.29	268.57
TBC PERP	USD	125	10.775%	n/a	B-/	95.64	13.11	964.44

### ადგილობრივი ობლიგაციები


GLC	USD	12	5.75%	Jul-23	-/-/-	99.94	5.88	n/a
GLC	EUR	3	4.75%	Jul-23	-/-/-	99.99	4.75	n/a
Lisi Lake Development	USD	12	6.50%	Dec-23	-/-/-	99.59	6.75	n/a
Lisi Lake Development	USD	10	8.50%	Dec-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
IG Development	USD	15	6.75%	Jan-24	-/-/-	98.23	8.90	n/a
IG Development	USD	15	8.50%	Jul-24	-/-/-	99.80	8.65	n/a
Georgia Real Estate	USD	35	8.50%	Oct-24	-/-/-	99.78	8.65	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	15.50%	Dec-23	-/-/-	n/a	n/a	n/a
Evex Hospitals	GEL	50	13.60%	Nov-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
Nikora Trade	GEL	35	13.62%	Nov-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
Geo Renewable Power Oper.	USD	80	7.00%	Oct-27	-/-/-	99.04	7.25	-/-/-

წყარო: Bloomberg




## აქციები

### საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)




წყარო: Bloomberg

### თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

### საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

**საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები** დაიხურა 27.50 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +8.70% წინა კვირასთან შედარებით და -1.43% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 442 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 25.50 - 27.75 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 122 ათასი აქცია შეადგინა.

**თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები** დაიხურა 22.40 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +3.70% წინა კვირასთან შედარებით და -9.68% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 234 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 21.60 - 23.10 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 63 ათასი აქცია შეადგინა.

**Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები** დაიხურა 7.85 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +1.95% წინა კვირასთან შედარებით და -3.92% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 191 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 7.45 - 7.85 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 66 ათასი აქცია შეადგინა.



## აქციები

### აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ.	ნ თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2021	2022F	2023F	2021	2022F	2023F
Bank of Georgia	BGEO	GBP	27.50	1,352	38.3%	131.5%	5.6%	4.58x	3.48x	4.20x	1.06x	1.09x	0.81x
TBC	TBC	GBP	22.40	1,235	34.3%	103.6%	-1.3%	4.75x	4.26x	3.82x	1.04x	0.92x	0.87x
Halyk Bank	HSBK	USD	11.56	3,152	15.6%	15.9%	4.1%	2.60x	3.05x	3.07x	0.76x	0.78x	0.66x
Akbank	AKBNK	TRY	16.94	88,088	50.0%	133.3%	-13.4%	6.04x	1.50x	2.13x	0.96x	0.68x	0.49x
Garanti	GARAN	TRY	27.86	117,012	43.4%	128.4%	-7.3%	7.12x	2.11x	2.60x	1.20x	0.86x	0.58x
Isbank	ISCTR	TRY	12.97	58,365	72.5%	226.4%	1.6%	2.87x	1.07x	1.21x	0.99x	0.62x	0.58x
PKO	PKO	PLN	28.52	35,650	30.6%	-28.4%	-5.8%	6.63x	10.26x	5.50x	0.86x	1.04x	0.89x
PEKAO	PEO	PLN	85.46	22,431	40.8%	-24.3%	-1.2%	9.22x	7.81x	5.24x	0.84x	1.00x	0.86x
Millennium	MIL	PLN	4.45	5,401	33.6%	-32.8%	-2.8%	na	2.30x	2.15x	0.81x	1.15x	0.78x
Mbank	MBK	PLN	306.40	12,987	52.9%	-13.3%	3.5%	na	na	7.01x	0.83x	1.05x	0.78x
BRD	BRD	RON	11.88	8,279	7.0%	-32.0%	-8.6%	6.06x	6.47x	5.84x	0.81x	1.30x	1.05x
Banca Transilvania	TLV	RON	19.50	123,074	16.8%	-10.4%	-2.1%	na	na	na	1.24x	1.31x	1.23x
Komerčni	KOMB	CZK	717.50	136,360	14.1%	-16.3%	9.5%	11.10x	8.47x	9.01x	1.14x	1.13x	1.02x
<b>Mean</b>								<b>6.34x</b>	<b>4.62x</b>	<b>4.32x</b>	<b>0.94x</b>	<b>0.99x</b>	<b>0.81x</b>
<b>Median</b>								<b>6.06x</b>	<b>3.48x</b>	<b>4.01x</b>	<b>0.91x</b>	<b>1.04x</b>	<b>0.81x</b>

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

### ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ.	ნ თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2021	2022F	2023F	2021	2022F	2023F
Georgia Capital	CGEO	GBP	7.85	366	26.8%	24.4%	7.5%	1.80x	na	na	0.41x	na	na
Tinc Comm	TINC	EUR	12.20	444	-1.9%	-9.9%	-2.4%	13.85x	na	na	0.94x	na	na
Sabancı Holding	SAHOL	TRY	39.56	80,718	53.5%	125.4%	-12.2%	5.61x	2.13x	2.07x	1.31x	0.84x	0.64x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	28.00	527	29.9%	-2.4%	0.4%	2.57x	na	6.91x	0.68x	1.07x	0.83x
Eurazeo	RF	EUR	65.75	5,209	22.1%	-13.9%	13.2%	2.91x	15.10x	9.60x	0.72x	0.75x	0.70x
Carlyle Group	CG	USD	30.90	11,008	19.6%	-36.8%	3.5%	3.34x	7.13x	7.88x	1.87x	2.66x	2.08x
Wendel SE	MF	EUR	97.60	4,367	32.2%	5.4%	11.9%	3.45x	8.26x	8.02x	1.35x	1.56x	1.34x
HgCapital Trust	HGT	GBP	3.43	1,562	0.9%	-21.2%	-2.1%	na	na	na	na	na	na
NB Private Equity Partners	NBPE	GBP	14.05	613	-9.1%	-15.1%	-12.2%	na	na	na	na	na	na
Oakley Capital Investments	OCI	GBP	4.54	810	20.1%	7.7%	8.1%	na	na	na	na	na	na
Princess Private Equity	PEY	EUR	9.30	643	-13.1%	-22.8%	10.2%	3.10x	na	na	0.52x	na	na
Symphony International Holding	SIHL	USD	0.47	241	4.5%	10.4%	4.7%	1.78x	na	na	0.45x	na	na
<b>Mean</b>								<b>4.27x</b>	<b>8.15x</b>	<b>6.90x</b>	<b>0.92x</b>	<b>1.37x</b>	<b>1.12x</b>
<b>Median</b>								<b>3.10x</b>	<b>7.69x</b>	<b>7.88x</b>	<b>0.72x</b>	<b>1.07x</b>	<b>0.83x</b>

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ





# მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოთხოვრებით დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილვებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაზე.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

**გალტი ენდ თაგარტი**  
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო  
ტელ: + (995) 32 2401 111  
ელ. ფოსტა: researcht@gt.ge